# «კამელინი» — სახსრების დაავადებების სამკურნალოდ



ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში მოჰკიდა ხელი ქირურგმა — ბატონ ბენედიქტე (ძაგული) მაღლაკელიძემ თაფლის სამკურნალო თვისებების შესწავლას. წინ იყო პრეპარატ „კამელინზე“ დაუღალავი მუშაობის წლები. დაიწყო პრეპარატის ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევები, როგორც თბილისის, ასევე მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის ონკოცენტრებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. სამედიცინო ექსპერიმენტებისა და კიბოთი დაავადებული ადამიანების მკურნალობის პარალელურად, ძაგული მაღლაკელიძემ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია იმისათვის, რათა გამოევლინა პრეპარატის პროფილაქტიკური შესაძლებლობები. ექსპერიმენტულ-კლინიკური მონაცემები საკმარის საფუძველს იძლეოდა იმისათვის, რომ „კამელინს“ ეხილა მზის სინათლე, მაგრამ იყო უნდობლობა, აზრთა სხვადასხვაობა, რასაც დიდხანს ებრძოდა ბატონი ძაგული. გავიდა წლები, სამწუხაროდ, იგი ვერ მოესწრო პრეპარატის დარეგისტრირებას, რაც დიდი ძალისხმევის ფასად მოახერხეს მისმა მეუღლემ — გუგული აბაშიძემ, ქალიშვილმა ქეთიმ და სიძემ — ავთანდილ მახარობლიძემ. 2004 წელს შეიქმნა ქართული ფარმაცევტული საწარმო „კამელინი“, განახლდა თანამედროვე ექსპერიმენტულ-კლინიკური კვლევები მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო და სამედიცინო ცენტრებში (კვებეკის, ილინოისის და ბერნის უნივერსიტეტებში, კანადის, აშშ-ის სამეცნიერო ცენტრებში, მონრეალის ლედი დევისის კლინიკაში და სხვა), რის საფუძველზეც პრეპარატმა „კამელინმა“ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი ფარმაცევტულ ბაზარზე. საქართველოში არაცერთ პრეპარატს არ ჰქონია პატივი, გაევლო ისეთი დონის სამეცნიერო-კლინიკური კვლევები, როგორიც „კამელინს“ ხვდა წილად. „კამელინის“ არცერთი ფორმა არ იწვევს გვერდით მოვლენებს

*და გამოირჩევა უნივერსალური მოქმედების მექანიზმით ვირუსულ, სოკოვან, გინეკოლოგიურ, ონკოლოგიურ და სხვა დაავადებებთან მიმართებაში. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს პრეპარატ „კამელინზე“ კლინიკური კვლევები (ბათუმის სამშობიარო სახლი, „იმედის“ კლინიკა, დამწვრობის ცენტრი, ბალნეოლოგიური ცენტრი), რის შედეგადაც პრეპარატი იძენს ახალ მიმართულებებს და ავლენს ფართო გამოყენების ჩვენებებს. 7 თვის წინ ბალნეოლოგიური კურორტის — საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციის და სამკურნალო ტურიზმის ს/პ ცენტრში პრეპარატ „კამელინზე“ ჩატარდა კლინიკური კვლევები, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბალნეოლოგიური კურორტის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ბატონი ნიკოლოზ საკაშვილი. გვესაუბრება ცენტრის ექიმი-რევმატოლოგი, პროფესორი, ქალბატონი* ***თამარ ჩილინგარიშვილი.***

**— ქალბატონო თამარ, გვიამბეთ აღნიშნული კვლევის შესახებ და იმ შედეგებზე, რაც პრეპარატ „კამელინით“ მკურნალობის შედეგად მიიღეთ?**

— ცნობილია, რომ ეკოლოგიურად სუფთა ბიოპრეპარატი „კამელინი“ იწარმოება სპეციალური თაფლისაგან, პრეპარატის შემქმნელი გახლავთ ბენედიქტე მაღლაკელიძე. ადრეული და თანამედროვე მრავალგზის კლინიკურ-ექსპერიმენტული კვლევების შედეგად ცნობილი გახდა „კამელინის“ ძლიერი იმუნომოდულატორული, სიმსივნის საწინააღმდეგო, ანტიოქსიდანტური, ანტიბაქტერიული, ანტივირუსული, ანთების საწინააღმდეგო და სხვა თვისებები. თაფლის უნიკალური სამკურნალო ჩვენებები ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდანაა ცნობილი აპითერაპიის სახით. მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა ანტიბიოტიკები, ჭრილობების დამუშავება ხდებოდა თაფლით, რომელიც ავლენდა ანთების საწინააღმდეგო ეფექტს. ცნობილია ასევე თაფლის რეგენერაციული თვისებები, ქალბატონები მას ნიღბების [illegible]

**არტროზი (ოსტეოართრიტი) წარმოადგენს საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ნელად პროგრესირებად, დისტროფიულ-ანთებითი ხასიათის დაავადებას, რომლის დროსაც ხდება ძვლის გლუვი ხრტილოვანი ნაწილის დაშლა-დეფორმაცია და რომლის ტიპური გამოვლინებაა დეფორმირებული ოსტეოართროზი. ამ დაავადებისას ყველაზე ხშირად პრობლემა ექმნება ხელის თითების სახსრებს, ხერხემალს %ოსტეოქონდროზი), ქვედა კიდურების სახსრებს, რომლებზეც მოდის სხეულის მასის დაწოლა, განსაკუთრებით სიმსუქნის დროს. არტროზის გამომწვევია აგრეთვე სახსრების ტრავმა და სპორტული, პროფესიული და საყოფაცხოვრებო ხასიათის ზღვარგადასული ფიზიკური დატვირთვა. ასხვავებენ პირველად და მეორად დეფორმირებად ოსტეოართროზს.**

თერაპია) მკურნალობაზე. რადგან „კამელინი“ ბუნებრივი პრეპარატია, გადავწყვიტეთ, ოსტეოართრიტის და ოსტეოქონდროზის მკურნალობაში ფიზიოთერაპიულ საშუალებებთან ერთად ჩაგვერთო „კამელინ M1“ ხსნარის ელექტროფორეზი და „კამელინ M3“ მალამოს ულტრაფონოფორეზი. ყველა პაციენტს უტარდებოდა დიაგნოზის დამადასტურებელი სახსრების ექოსკოპიური გამოკვლევები მკურ- [illegible]

მონიტორინგს და შედეგები შენარჩუნებულია. თუმცა, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქრონიკულ დაავადებებთან და უმჯობესია აღნიშნული პროცედურების ჩატარება „კამელინის“ გამოყენებით წელიწადში 2-ჯერ მაინც, რათა პათოლოგიური პროცესი შორს არ წავიდეს და არ მივიღოთ სავალალო შედეგი, რაც ხშირად ახასიათებს ამ ორივე დაავადებას და იწვევს ინვალიდობას.

**— ქალბატონო თამარ, გაგვა-** [illegible]

1/5/26, 1:07 PM Camelyn Publications

ნალწამლო თვისებები მედიცინაში კარგად არის ცნობილი. ჩვენი ცენტრისა და კომპანია „კამელინის“ ერთობლივი მსჯელობის შედეგად დაიბადა აზრი, გამოგვეკვლია პრეპარატ „კამელინის“ ჩვენებები ოსტეოართრიტის (მათ შორის გართულებული ფორმების — რეაქტიული სინოვიტის, სასახსრე აბგების, ბეიკერის ცისტის, ტენდოვაგინიტის, ბურსიტების) და ხერხემლის ოსტეოქონდროზის (მათ შორის ფესვობრივი სინდრომით) დროს. მოგეხსენებათ, აღნიშნული დაავადებები ძალზე გავრცელებულია მსოფლიოში და, სამწუხაროდ, გახალგაზრდავდა. ამიტომ ამ პათოლოგიასთან ბრძოლას უკვე სოციალური მნიშვნელობა აქვს. მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია მკურნალობის ახალ-ახალი მეთოდების შემუშავება, რაშიც დიდი როლი ეთმობა ფიზიკური ფაქტორების გამოყენებით მკურნალობას. მოგეხსენებათ, ჩვენი ცენტრი ორიენტირებულია ბუნებრივი — საკურორტო და პრეფორმირებული ფიზიკური ფაქტორების გამოყენებით (თერმულ-გოგირდიანი, მინერალური წყალი, სამკურნალო ტალახი, პარაფინი, ჰიდროთერაპია, ოზოკერიტი, აპარატული ფიზიო-

რე ხრტილის მოცულობა, ვიკვლევდით სისხლში ედს-ის და CRP-ის რაოდენობას. „კამელინ M1“ ხსნარის და „კამელინ M3“ მალამოს ორგანიზმში შეყვანამ ფიზიკური ფაქტორებით, პირველ შემთხვევაში — გალვანური გზით და მეორე შემთხვევაში — ულტრაბგერით, გამოიწვია მკურნალობის მოსალოდნელი ეფექტის გაძლიერება, ანუ მიღებულ იქნა ორმაგი, თერაპიული ეფექტი. რაც მთავარია, გვერდით ჩვენებებსა და გართულებებს ადგილი არ ჰქონია. პაციენტებს გამოეხატათ ტკივილების კუპირება, რიგ შემთხვევაში სრული გაქრობა, მოძრაობის მკვეთრი გაუმჯობესება, როგორც სუბიექტური ჩივილები, ისე ობიექტური მონაცემების დადებითი დინამიკა, რაც გამოვლინდა ედს-ის და CRP-ს მაჩვენებლების სარწმუნო დაქვეითებით, ექოსკოპიური მონაცემების გაუმჯობესებით (ანთებითი სითხის გაქრობით ან რაოდენობის მკვეთრად შემცირებით). იმ პაციენტებმა კი, რომლებიც პერიოდულად იყენებდნენ ჰორმონალურ პრეპარატებს, „კამელინით“ მკურნალობის პროცესში შეწყვიტეს მათი მიღება. კვლევიდან თითქმის 7 თვეა გასული, ჩვენ დღემდე ვაწარმოებთ კვლევაში ჩართულ პაციენტებზე

— ამ კვლევებიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პრეპარატი „კამელინ M1“ ხსნარის ელექტროფორეზი და „კამელინ M3“ მალამოს ულტრაფონოფორეზი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ბაზისური მკურნალობა ოსტეოართრიტების, მათ შორის სხვადასხვა გართულებების — სინოვიტის, ბეიკერის ცისტის, ბურსიტის, ტენდოვაგინიტის და ხერხემლის ოსტეოქონდროზის დროს, მათ შორის ფესვობრივი სინდრომით. მაღალი თერაპიული ეფექტის საფუძველზე „კამელინი“ შეიძლება ფართოდ დაინერგოს იმ სამედიცინო და სარეაბილიტაციო ცენტრებში, სადაც ფუნქციონირებს ფიზიოთერაპიული კაბინეტები. „კამელინმა“ შეიძინა კიდევ უფრო ფართო ჩვენებები და მედიცინის ახალი მიმართულება როგორც რევმატოლოგიასა და ნევროლოგიაში, ასევე ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის **ქალბატონ თამარ ჩილინგარიშვილს დაუკავშირდით 899-74-04-87.**

*ესაუბრა*

**მაია ცომაია**

**„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ: 98-57-78; 71-04-80; 98-62-25 (ოფისი); 45-33-68(69); 899-23-03-33; 877-73-56-51, 899-33-10-89; 93-20-87; 22-26-68 .**

კამელინი CAMELYNI



Copyright © CAMELYN Ltd. 2011

https://www.camelyn.ge/sttc/2839/2839.html 3/3